



მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
სტრატეგიული გეგმა
2016 – 2019

შესავალი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2016-2019 წლების სტრატეგიული გეგმა მოიცავს მასწავლებლის პროფესიის განვითარების მიმართულებით ცენტრის ხედვას, წარმოაჩენს ამ პროცესში მის დანიშნულებას, საქმიანობის უმთავრეს პრინციპებსა და ღირებულებებს, განსაზღვრავს საქმიანობის სტრატეგიულ ჩარჩოს (მიმართულებებს) და შესაბამის სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და ქვეამოცანებს. დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნება მოცემული სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების გეგმაც, რომელიც მისცემს პასუხისმგებელ პირებს გარკვეული პერიოდულობით სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების დახვეწისა და კორექტირების საშუალებას, მიმდინარე გარე და შიდა ცვლილებებისა და ახალი გამოწვევების გათვალისწინებით.

ერთი მხრივ, სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ საქმიანობას საერთო მიზნების მისაღწევად. მეორე მხრივ, ცენტრი სტრატეგიული გეგმის დოკუმენტს განიხილავს როგორც შესაძლებლობას, გაუზიაროს საკუთარი ხედვა ყველა დაინტერესებულ მხარეს და ამით ხელი შეუწყოს საკუთარი საქმიანობის შეფასებასა და შემდგომ სრულყოფას.

ცენტრის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესს კოორდინირებას უწევდა ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახური. სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი ოთხ წელზეა გათვლილი. დოკუმენტის შესრულების შეფასება, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მოხდება. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე, განხორციელდება გეგმის რევიზია.

ცენტრის სტრატეგიული გეგმის მომზადება ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს: 1. **მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა** - სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები გამყარებული უნდა იყოს მტკიცებულებებით, კვლევის შედეგებით, ფაქტებით. 2. **თანამონაწილეობა და თანამშრომელთა ჩართულობა** - უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცენტრის წამყვანი

თანამშრომლების ჩართულობა და აქტიური მონაწილეობა დაგეგმვის პროცესში, რათა შემუშავდეს გაზიარებული და ქმედითი სტრატეგია.

სტრატეგიის შემუშავების პირველ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახურის მიერ მომზადდა სიტუაციის ანალიზის დოკუმენტი (იხ. დანართი 1. სიტუაციური ანალიზი), განხორციელდა რიგი პროგრამების შიდა შეფასება, გაკეთდა ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების და გარე ფაქტორების ანალიზი (იხ. დანართი 2. SWOT ანალიზი). შიდა კონსულტაციებით შემუშავდა ცენტრის მისიის განაცხადის განახლებული ვერსია. ამ და სხვა სამუშაოების საფუძველზე მომზადდა სტრატეგიული გეგმის ძირითადი ჩარჩო. დაგეგმვის შემდეგ ეტაპზე ჩატარდა ცენტრის ხელმძღვანელი პირების, წამყვანი თანამშრომლებისა და კონსულტანტების სტრატეგიული დაგეგმვის სამდღიანი სამუშაო შეხვედრა და განხორციელდა ცალკეული სტრატეგიული მიმართულებების უფრო სპეციფიკური დაგეგმვა-დაზუსტება. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაიწერა სამოქმედო გეგმა (იხ. დანართი 3.).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მანდატი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ცენტრის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

ცენტრის გამოკვეთილ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირთა პროფესიული განვითარება, კერძოდ, ზოგადი განათლების დაწესებულებაში დაკავებული კადრები - მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

გადლიერების ხელშეწყობა ხდება სწორედ სკოლის დირექტორთა და ადმინისტრატორთა პროფესიული განვითარების ღონისძიებათა მეშვეობით. ცენტრის მანდატი ასევე ითვალისწინებს პროფესიული განათლების სფეროს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.

ცენტრის მოქმედი დებულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე, ცენტრის ფუნქციები შეიძლება დაჯგუფდეს სამ ძირითად კლასტერში: 1. პროფესიული სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის უზრუნველყოფა; 2. უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობა; 3. განათლების ეროვნული პოლიტიკისა და ცენტრის სტრატეგიის მიერ განსაზღვრული მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება. დაკისრებულ ფუნქციებს ცენტრი ახორციელებს, როგორც სხვადასხვა სერვისის განვითარებითა და მიწოდებით, ასევე განათლების პოლიტიკის ფორმირების პროცესში აქტიური მონაწილეობით. ამ მიზნით, ატარებს შესაბამის კვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ცენტრის სტრუქტურა

ცენტრს მართავს დირექტორი, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი და მასვე ეკისრება ცენტრის წარმომადგენლობა.

დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრი, ხოლო ფუნქციებს განუსაზღვრავს დირექტორი.

ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებია:

1. ორგანიზაციის სტრატეგიული მართვა და განვითარება

- სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამსახური;
- შიდა აუდიტის სამსახური.

2. ორგანიზაციის სერვისები და პროგრამები

- სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახური;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური;
- რეგიონული კოორდინაციის სამსახური;
- მიზნობრივი პროგრამების სამსახური;
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მხარდაჭერა).

3. ორგანიზაციის მხარდაჭერა და რესურსების ადმინისტრირება

- ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახური;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური.

მისიის განაცხადი

ცენტრის ხედვა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხედვაა, რომ მასწავლებლის პროფესია იყოს მიმზიდველი და დაფასებული; მასწავლებლის პროფესიული საქმიანობა მიმართული იყოს განვითარებაზე და თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებაზე; მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს და ვითარდებოდეს განათლების სისტემის საერთაშორისო ტენდენციების კვალდაკვალ.

ცენტრის მისია

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მისიაა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის პირობების შექმნა. ამისათვის ცენტრი წარმართავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავების მონაწილეობით პროცესს, უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების შემუშავება-დანერგვას, ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებს და ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობისა და განვითარების ღია სისტემის დამკვიდრებას.

ცენტრის ღირებულებები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მმართველი რგოლი და თანამშრომლები საქმიანობის განხორციელების პროცესში ვხელმძღვანელობთ შემდეგი ძირითადი ღირებულებებით:

- ვემსახურებით **განათლების**, როგორც ღირებულების დამკვიდრებას და გვჯერა, რომ განათლება პიროვნების თავისუფლების საწინდარია;
- ჩვენთვის არსებითია **ბავშვის უფლებების დაცვა** და საქმიანობის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, ვხელმძღვანელობთ მათი ინტერესებით;
- ჩვენ გვჯერა, რომ ყველა ბავშვს ხელი უნდა მიუწვდებოდეს **ხარისხიან განათლებაზე**;

- გვწამს, რომ მასწავლებელს განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში წამყვანი როლი აკისრია;
- სრულად ვიზიარებთ ლიბერალურ ღირებულებებს და გვჯერა, რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მასწავლებელი უნდა იყოს ასეთი ღირებულებების მატარებელი;
- მუშაობის დროს მუდმივად შედეგზე და ხარისხზე ვართ ორიენტირებული და შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უკუკავშირი და კონსტრუქციული კრიტიკა განვითარების პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია;
- მიგვაჩნია, რომ წარმატებული საქმიანობის საწინდარია ბენეფიციარებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა, შესაბამისად, ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგისათვის;
- გვჯერა, რომ ეფექტური მუშაობისათვის მნიშვნელოვანია ინიციატივა, ინოვაციური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება.

მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება - გადაწყვეტილებები მიიღება კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და დიალოგი - ცენტრი ორიენტირებულია საკუთარი საქმიანობის მუდმივ განვითარებაზე, ამისათვის იგი რეგულარულად იღებს უკუკავშირს, ჩართულია დიალოგში დაინტერესებულ პირებთან.

დეცენტრალიზაციაზე ორიენტაცია - განათლების ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებულია სერვისების დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა. ამ პოლიტიკის კვალდაკვალ ცენტრი მაქსიმალურად ხელს უწყობს ისეთი გარემოს ფორმირებას, სადაც სკოლის, დაინტერესებული პირების, ინსტიტუტებისა და თავად მასწავლებელთა საზოგადოების მობილიზებითა და გაძლიერებით მოხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი ეფექტიანი სერვისების მიწოდება.

დამატებით, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის მოქნილობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ცენტრი გეგმავს რეგიონული ცენტრების (მასწავლებლის სახლების) დაარსებას, რომლებიც, ერთი მხრივ, გადაინაწილებენ ეროვნული ცენტრის ფუნქციებს და ამით უზრუნველყოფილი იქნება მეტი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, მასწავლებლის სახლების რეგიონულ დონეზე დაარსებით ხელი შეეწყობა ადგილობრივ დონეზე ადამიანური რესურსების განვითარებას და განათლების სფეროში მოღვაწე აქტორებთან კოორდინირებულ და ეფექტურ თანამშრომლობას.

სწავლა-სწავლებისა და პროფესიული განვითარების თანამედროვე და ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობა - ცენტრის ერთ-ერთი მთავარი

პრიორიტეტია სწავლა-სწავლების თანამედროვე მდგომარეობის დანერგვისა და გავრცელების ხელშეწყობა.


ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა - ცენტრი პასუხისმგებლობას იღებს დაგეგმილ შედეგებზე და უზრუნველყოფს შესაბამის ანგარიშგებას შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების წინაშე.

სტრატეგიის ჩარჩო და მიზნები

ცენტრის სტრატეგიის ჩარჩოს წარმოადგენს 4 სტრატეგიული მიმართულება, რომელიც ცენტრის მოქმედი მანდატის, მისიის განაცხადისა და სიტუაციის ანალიზის შედეგებზე დაფუძნებით ჩამოყალიბდა:

1. პროფესიული სტანდარტების განვითარება და დანერგვა;
2. სამიზნე ჯგუფების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა;
3. მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელება ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის;
4. ცენტრის ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიმართულების ქვეშ განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ქვეამოცანები.



სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ქვეამოცანები

სტრატეგიული მიმართულება 1. პროფესიული სტანდარტების განვითარება და დანერგვა

მიზანი 1.1. პროფესიული სტანდარტების განვითარება და დანერგვის შედეგების გაუმჯობესება

ამოცანა 1.1.1 პროფესიული სტანდარტების განვითარება და გაუმჯობესება

ქვეამოცანები

- სამიზნე ჯგუფების პროფესიული სტანდარტების განახლება-განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა.

ამოცანა 1.1.2 სტანდარტების დანერგვის სისტემის სრულყოფა

ქვეამოცანები

- სტანდარტების მოთხოვნებთან პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობისა და პროფესიულ საჭიროებათა დადგენის მეთოდოლოგიისა და მექანიზმის შემუშავება და დანერგვა;
- სტანდარტების დანერგვის გეგმების შემუშავებისა და განხორციელების თანამშრომლობითი პრაქტიკის შემოღება განათლების სისტემის სტრუქტურულ ერთეულებთან.

ამოცანა 1.1.3 პროფესიული განვითარების რესურსების ხარისხის გაუმჯობესება, გამრავალფეროვნება და მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ქვეამოცანები

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პრიორიტეტული სასწავლო მოდულების განახლება;
- სერვისების (ტრენინგები, კურსები, კონფერენციები, სხვა ღონისძიებები) დაგეგმვისა და მიწოდების განახლებული სისტემის დანერგვა;
- დისტანციური სწავლების პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის დაწყება;

- საჭიროებებზე დაფუძნებული, მასწავლებელთათვის განკუთვნილი, პროფესიული ლიტერატურის მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მასწავლებელთათვის განკუთვნილი პერიოდული გამოცემების ხარისხის შემდგომი განვითარება, მასწავლებელთა საჭიროებებზე მეტად მორგება;
- საუკეთესო პრაქტიკების მოძიება და ანალიზი, მათი გავრცელების მექანიზმის დამკვიდრება;
- პროფესიული განვითარების ვებ-პორტალის (ncp.ge) შემუშავებაში მონაწილეობა;
- რეგიონული ცენტრების (მასწავლებლის სახლების) დაარსებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ამოცანა 1.1.4 მასწავლებელთა შორის ინკლუზიური განათლების სპეციალური უნარების გაძლიერება

ქვეამოცანები

- მასწავლებელთა კორპუსის გადამზადება ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგნობრივ პროგრამებში დიფერენცირებული მიდგომების მეთოდოლოგიის დანერგვა და სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა გადამზადება;
- ინკლუზიური განათლების სფეროში პროფესიულ კონსულტანტ-მასწავლებელთა ფორმირების მიზნით სპეციალური სკოლებისა და სპეციალური მასწავლებლების კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება.

ამოცანა 1.1.5 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მასწავლებელთა უნარ-ჩვევების განვითარება და ისტ უნარების სასწავლო პროცესში გამოყენების ხელშეწყობა

ქვეამოცანები

- მასწავლებელთა ისტ-ის ზოგადი უნარების განვითარების პროგრამების განახლება და განხორციელება;
- ცალკეულ საგნებში ისტ-ის ინტეგრირებაზე ორიენტირებული პროფესიული განვითარების პროგრამების შექმნა/განახლება და ჩატარება.

ამოცანა 1.1.6 სკოლის დირექტორთა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება

ქვეამოცანები

- სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების საჭიროებების ანალიზი;
- გამოვლენილ საჭიროებებსა და სტანდარტზე დაფუძნებით პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავება;
- სტანდარტის დანერგვის ხელშემწყობი ინსტრუმენტების შექმნა (გზამკვლევი/პრაქტიკული სახელმძღვანელო და სხვა);
- მიღებული გამოცდილების საფუძველზე სკოლის დირექტორთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მოდელის დანერგვა.

ამოცანა 1.1.7 პროფესიული განათლების მასწავლებელთა სტანდარტის დანერგვის

ხელშეწყობა

ქვეამოცანები

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური უნარების გაძლიერების მიზნით პროფესიული განვითარების პროგრამის განახლება და განხორციელება;
- პროფესიული განვითარების პედაგოგიური უნარების საკითხებზე დისტანციური კურსების შემუშავება და დანერგვის დაწყება;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა უნარების განვითარება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით;
- დადგენილ პრიორიტეტულ სფეროებში პროფესიული მასწავლებლების საწარმოში ტრენინგების მოდულების შემუშავება და ჩატარება;

- პროფესიულ სასწავლებლებში მოდულური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა;
- პროფესიული მასწავლებლების სტანდარტის დანერგვის პროცესისა და შედეგების შეფასება.

სტრატეგიული მიმართულება 2. სამიზნე ჯგუფების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა

მიზანი 2.1 მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობა

ამოცანა 2.1.1 სქემის შესახებ ბენეფიციარებისა და სხვა აქტორების ინფორმირების გაზრდა

ქვეამოცანები

- სქემის გზამკვლევის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიების მომზადება და საჭიროების მიხედვით განახლება;
- სქემის ელექტრონული სისტემის მართვის საკითხებზე სკოლის ადმინისტრაციის ინფორმირების ხელშეწყობა;
- სქემის შესახებ პირველადი ინტენსიური საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი კამპანიის განხორციელება;
- სქემის დანერგვის მიზნით ხელმისაწვდომი და ეფექტური საინფორმაციო სერვისების ფორმირება და ამოქმედება (მაგალითად: ცხელი ხაზი, ვებ-გვერდი, ღია კარის დღეები თუ სხვა);
- სამუშაო შეხვედრების, სემინარების, საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა;
- პროფესიაში ახალი კადრების მოზიდვის მიზნით ყოველწლიურად კამპანიის განხორციელებაში აქტიური ჩართვა.

ამოცანა 2.1.2 სქემის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელი მექანიზმების და ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა

ქვეამოცანები

- სქემის სამართლებრივი საფუძვლების სრული პაკეტის ბაზის გამართვა პილოტირების შედეგების გათვალისწინებით;
- თვითშეფასებისა და მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა და გამართვა;
- ელექტრონული შეფასების სისტემის გამართვა (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან (EMIS) თანამშრომლობით);
- სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის მუშაობის მონიტორინგი და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ინტერვენცია;
- სქემის დანერგვის მონიტორინგი და ამ მიზნით: შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება, ჩართული მხარეების მიღწევების ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციებისა და ინტერვენციების გეგმის შემუშავება;
- სქემის წარმატებით დანერგვის მიზნით სხვადასხვა ინსტიტუტებთან (სამთავრობო, არასამთავრობო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები) თანამშრომლობა და კოორდინაცია;
- სქემის ეფექტიანად დანერგვის მიზნით, სასკოლო თანამშრომლობის კულტურის განვითარება და ამ მიზნით სკოლათა შორის, ასევე საგნობრივ ასოციაციათა შორის პროფესიული ქსელების შექმნასა და განვითარებაში სკოლების ხელშეწყობა.

ამოცანა 2.1.3 მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების პროცესში ჩართული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება

ქვეამოცანები

- სქემის მენეჯმენტის უნარების განვითარებისათვის სკოლის დირექციის, ფასილიტატორებისა და შეფასების ჯგუფის წევრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სკოლების კონსულტირების მიზნით, ტრენერ-კონსულტანტების ჯგუფის პროფესიული განვითარება და მონიტორინგი;
- სკოლებისა და მასწავლებლების კონსულტირება;

- რესურსცენტრების თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 2.1.4 მოტივირებული და პრაქტიკაზე ორიენტირებული მასწავლებლობის მსურველების პროფესიაში მოზიდვა და დამწყები მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა და პროფესიაში შენარჩუნება

ქვეამოცანები

- სკოლის ბაზაზე მასწავლებლობის მსურველთა მოზიდვის, შერჩევისა და პროფესიული განვითარების პროცესისა და მექანიზმების სრულყოფა;
- დამწყები მასწავლებლების პროფესიული უნარების გაძლიერება;
- მასწავლებლობის მსურველი პირების დასაქმების ხელშეწყობა: ვაკანსიებისა და მასწავლებლობის მსურველთა პროფილების განსათავსებლად ელექტრონული პლატფორმის შემუშავება და ადმინისტრირება;
- მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამების კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის წარმოება და ახალბედა და გამოცდილ მასწავლებელთა თანამშრომლობის ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიმართულება 3. მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელება ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის

მიზანი 3.1 მიზნობრივი ინტერვენციები ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობისათვის

ამოცანა 3.1.1 საქართველოს რეგიონებში არსებულ სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა, მასწავლებელთა დეფიციტის შემცირების გზით

ქვეამოცანები

- მასწავლებელთა საჭირო და არსებული ნაკადის კვლევაზე დაფუძნებით პოლიტიკის ალტერნატივების ფორმირება;
- მაღალმთიანი და რთულად მისადგომი სოფლების სკოლებისათვის პროფესიონალი კადრების შერჩევა და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- მიზნობრივი პროგრამების ეფექტური და ეფექტიანი განხორციელება და ამ მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან (სამთავრობო, არასამთავრობო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა) თანამშრომლობა.

ამოცანა 3.1.2 არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მასწავლებელთა შორის სახელმწიფო ენისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარება

ქვეამოცანები

- არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარება მშობლიურ და სახელმწიფო ენაზე;
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მასწავლებელთა სახელმწიფო ენის ფლობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა დეფიციტის შევსების მიზნით პროფესიონალი კადრების მომზადება და წარგზავნა.
- სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში ადგილობრივი მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა.

ამოცანა 3.1.3 უცხოური ენის მასწავლებელთა შესაბამისი საკომუნიკაციო/ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესება და ამ მიზნით უცხოენოვანი პროფესიონალი კადრების მოზიდვა

ქვეამოცანები

- უცხოენოვანი პროფესიონალების შერჩევის მიზნით ინფორმაციის გავრცელება და მონაწილეთა შერჩევა;
- შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების შერჩევა და უცხოენოვანი პროფესიონალების წარგზავნა;
- უცხოენოვან პროფესიონალთა და ადგილობრივ მასწავლებელთა თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- შესაბამისი პროგრამის განხორციელება და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის განვითარება.

ამოცანა 3.1.4 მასწავლებელთა კვალიფიკაციის გაზრდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე

ქვეამოცანები

- კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

მიზანი 3.2 მიზნობრივი ინტერვენციები ზოგადი განათლების სისტემაში წარმომადგენლობითი აქტორების შესაძლებლობების განვითარებისათვის

ამოცანა 3.2.1 ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების სწავლების გაუმჯობესება საქართველოს საჯარო სკოლებში - ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს მხარდაჭერა

ქვეამოცანები

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების მე 7-12 კლასების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და რესურსების განვითარება როგორც ქართულ, ისე უმცირესობათა ენებზე;
- საჯარო სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების მიზნით უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და ამოქმედება;
- საჯარო სკოლის ფასილიტატორთა პროფესიული განვითარება;
- პროფესიული განვითარების აქტივობებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საკლასო ოთახში გამოყენების მონიტორინგის მიზნით, შესაბამისი სისტემის შექმნა, ინსტრუმენტების განვითარება და დანერგვა.

ამოცანა 3.2.2 განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით კვალიფიციურ ტრენერთა მომზადება და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ქვეამოცანები

- ტრენერთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და დანერგვა;
- ტრენერობის მსურველთა, ასევე კვალიფიციურ ტრენერთა მოზიდვა და ცენტრის ტრენერთა ქსელის განვითარება;
- სამიზნე ჯგუფებში ტრენერთა კომპეტენციების ჩარჩოთი განსაზღვრული ზოგადი უნარების განვითარება და განათლების სფეროს კვალიფიციური ტრენერების მომზადება;
- ცენტრის ტრენერთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ტრენერთა შეფასების სისტემის შექმნა და დანერგვა.

სტრატეგიული მიმართულება 4. ცენტრის ორგანიზაციული განვითარება

მიზანი 4.1. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის სისტემის გაუმჯობესება

ამოცანა 4.1.1 ხარისხის მართვის სისტემის განვითარება

ქვეამოცანები

- ხარისხის პოლიტიკისა და მიზნების ფორმალიზება;
- სერვისების/პროდუქტების შემუშავების სტანდარტიზებული პროცედურების დანერგვა;
- ცენტრის საქმიანობის ერთიანი შიდა მონაცემთა ბაზის ფორმირება-განახლება;
- სერვისების/პროდუქტების მიწოდების, მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტიზებული პროცედურების სრულყოფა;
- კვლევების განხორციელების სტანდარტიზებული პროცედურების წარმართვა;
- ცენტრის წლიური დაგეგმვის სტანდარტიზებული პროცესის დანერგვა.

ამოცანა 4.1.2 სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება

ქვეამოცანები

- სტრატეგიაზე დაფუძნებით წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
- სტრატეგიული გეგმის განხორციელების ანგარიშგებისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- სტრატეგიული გეგმის განხორციელების შეფასებისა და განვითარების პრაქტიკის დანერგვა.

მიზანი 4.2 ორგანიზაციის მართვისა და საქმიანობის ადმინისტრირების სისტემის შემდგომი სრულყოფა

ამოცანა 4.2.1 ეფექტური კოორდინაციის შიდა მექანიზმების სრულყოფა

ქვეამოცანები

- კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შიდა ელექტრონული ქსელის ფორმირება;
- საქმისწარმოების წესის ჩამოყალიბება და დოკუმენტების მოძრაობის გამარტივება;
- სამსახურების ანგარიშგების სისტემის სრულყოფა.

ამოცანა 4.2.2 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება

ქვეამოცანები

- ცენტრის ადამიანური რესურსების მონაცემთა ბაზის განახლება;
- თანამშრომელთა ანგარიშგებისა და შეფასების სისტემის განვითარება;
- შეფასებაზე დაფუძნებული წახალისების სისტემის დანერგვა;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვა;
- შუა რგოლის მენეჯერთა მენეჯერული უნარების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა.

მიზანი 4.3 ცენტრის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაზრდა

ამოცანა 4.3.1 კომერციული სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა

ქვეამოცანები

- საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე კომერციული სერვისების იდენტიფიცირება;
- სერვისების მიწოდების ბიზნეს მოდელისა და გეგმის ჩამოყალიბება;
- გაყიდვების მექანიზმის დანერგვა.

მიზანი 4.4 ცენტრის პროგრამების ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდა

ამოცანა 4.4.1 პროგრამების მართვისა და შეფასების სისტემის სრულყოფა

ქვეამოცანები

- პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების სტანდარტიზებული პროცესის დანერგვა;
- პროგრამებში მართვაში ჩართული პირების შესაბამისი კომპეტენციების გაძლიერება.

მიზანი 4.5 ცენტრის საქმიანობის ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულების გაზრდა

ამოცანა 4.5.1 საზოგადოების ჩართულობისა და ინფორმირების პრაქტიკების/მექანიზმების გაუმჯობესება

ქვეამოცანები

- გარე კომუნიკაციის მექანიზმების შემუშავება, გარე დაინტერესებულ პირებთან დიალოგის ღია ფორმატის შემუშავება და ამოქმედება;
- ჟურნალისტების ექსპერტიზის გაზრდა;
- ეფექტიანი უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესება, მათ შორის, სოციალური მედიის პლატფორმები, ცხელი ხაზი, ვებგვერდი.

მიზანი 4.6 პარტნიორთა ქსელის გაფართოება და დამატებითი რესურსების მოზილიზაცია

ამოცანა 4.6.1 საერთაშორისო ქსელებში ინტეგრაცია

ქვეამოცანა

- საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების იდენტიფიცირება;
- კავშირების დამყარება და ურთიერთობათა განვითარება.

ამოცანა 4.6.2 დონორებისგან დამატებითი რესურსების მოზიდვა პოლიტიკისა თუ ორგანიზაციის განვითარების პროექტების განხორციელების მიზნით

ქვეამოცანა

- პოტენციური დონორების გამოვლენა და კონტაქტების დამყარება;
- პროექტების იდენტიფიცირების მექანიზმის შექმნა და განხორციელება.